სენიორ ქრისტეფორე კოლუმბს

ესპანეთის სამეფო ფონდი "იბერია გაბრწყინდება" გაცნობებთ, რომ თქვენი პროექტის "ექსპედიცია ინდოეთში" საბოლოო ანგარიშში აღმოჩენილია ფონდის წესების უხეში დარღვევა.

კერძოდ, პროექტში მითითებული იყო მივლინება ინდოეთში. მაგრამ თქვენ ბრძანდებოდით არა ინდოეთში, არამედ ამერიკაში. ამის გამო მივლინება მიჩნეული იქნა არაკანონიერად და მისი შედეგი - ახალი კონტინენტის აღმოჩენა - გადადის ფონდის საკუთრებაში.

წინადადება გეძლევათ 10 (ათი) დღის ვადაში დააბრუნოთ სამივლინებო ხარჯები და ინვენტარი (მცურავი საშუალებები "სანტა მარია", "პინტა" და "ნინია"). წინაამღდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული სანქციები.

ღრმა პატივისცემით,

ფონდის მაიორი ამერიგო ვესპუჩი

სერ აიზეკ ნიუტონს

თქვენი პროექტი "ნიუტონის IV, V და VI კანონები" მოხსნილია კონკურსიდან, რადგან აკლია პროექტის მენეჯმენტის აღწერა/დასაბუთების თავი.

კერძოდ, მართალია, პროექტს ჰყავს მხოლოდ ერთი მონაწილე, მაგრამ მაინც უნდა მითითებულიყო - პროექტის ხელმძღვანელი სერ აიზეკ ნიუტონი ხელმძღვანელობს პროექტის ძირითად შემსრულებელს სერ აიზეკ ნიუტონს.

ფონდის ლორდ-მენეჯერი

ბატონ შოთა რუსთაველს

თქვენი სახელობის გლდანის N8 ნაციონალური ფონდი გაცნობებთ, რომ პროექტის "პოემა "ვეფხისტყაოსანი", კრეაცია და იმპლემენტაცია" შეჩერებულია შემდეგი დარღვევის გამო:

პროექტის ბიუჯეტში მითითებული იყო საკანცელარიო ხარჯი - საწერი საშუალებები, 50 ცალი, 120 ფლური.

წარმოდგენილი ზედნადებებიდან გაირკვა, რომ ამ თანხით თქვენ შეგიძენიათ 50 ცალი ბატის ფრთა. ფონდთან არსებული საექსპერტო კომისიის დასკვნით ბატის ფრთა არ განეკუთვნება საწერ საშუალებებს, არამედ არის ფრინველის (ბატის) ანატომიური ნაწილი.

ამდენად სახეზეა შესყიდვების კანონის უხეში დარღვევა, რის გამოც პროექტი შეჩერებულია ვიდრე ეს 50 ბატის ფრთა (პერო) არ გადაეცემა ფონდს დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

პატივისცემით,

ფონდის მეჭურჭლეთუხუცესი

მინაწერი. არ გეგონოთ ეს ხუმრობაა, ყველაფერი მართლა მოხდა, პერსონაჟებია მხოლოდ სხვა.